ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/04

დაბა ქედა, **29 მარტი, 2024 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 14:20 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 19 ესწრებოდა .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 მარტი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასმწრეთ მიულოცა 26 მარტს საქართველოს საფეხბურთს ნაკრების ღირსეული გამარჯვება და უსურვა წარმატებები ევროპის ჩემპიონატზე, შემდეგ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. **ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

7. **ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში;**

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

8. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში;**

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

9. **2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაციის მოსმენა;**

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

10. **2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაციის მოსმენა;**

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი: ირინე დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

11. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

12. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

აქვე განმარტა, რომ დღის წესრიგში საკითხებს შორის უნდა მომხდარიყო ადგილების ცვლილება შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

8. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

9. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის
დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

10.2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის
დირექტორი: ირინე დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

11.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

12.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ცვლილებაშესული დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას 26 მარტს ქართული ფეხბურთის ღირსეულ გამარჯვება და უსურვა წარმატებები, შემდეგ განცხადება გააკეთა. კერძოდ: აღნიშნა, რომ ორი თვე იყო გასული სტიქიური მოვლენების განვითარებიდან ქედის მუნიციპალიტეტში და დღემდე არცერთ საკრებულოს სხდომაზე გატანილი საკითხი სტიქიით

დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად არ განხილულა, აქვე აღნიშნა რომ გასულ კვირას უმაღლესი საბჭოს ერთერთ სხდომაზე ზაზა შავაძის მიერ გაჟღერებულ იქნა, საკითხი რომ თუ მუნიციპალიტეტების მიერ მოთხოვნილი იქნება მოსახლეობის ქირის საფასურის გაზრდა, აჭარის მთავრობა უზრუნველყოფდა ამას, თუმცა დღემდე ამ საკითხთან დაკავშირებით ცვლილება არ შესულა, მეორე საკითხი იყო როდის იგეგმებოდა ერთი თვის წინ მიღებული ავტობუსის სამარშუტო ხაზზე მუშაობა.

განცხადებასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ზარალი დათვლილი იყო და ყველა მოქალაქე მიიღებდა შესაბამის დახმარებას, რაც შეეხება ავტობუსის საკითხს აღნიშნა, რომ მერიის მიერ უნდა იქნას შემოტანილი განრიგი, სადაც დამტკიცდება კალკულაცია და ამის შემდგომ მოხდება მისი ამოქმედება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა მიზეზით არ იქნა შესწავლილი სოფელ ახოში 28 მარტს გეოლოგთა ჯგუფის მიერ მურად ბერიძის საკუთრებაში არსებული ტერიტორია და რატომ შეუშალა ხელი გეოლოგების მუშაობას სოფელ ახოში მერის ადმინიტრაციული ერთეულის სპეციალისტმა თემურ ბოლქვაძემ, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რომან დავითაძემ განმარტა, რომ მურად ბერიძის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის შესწავლა 28 მარტს, არ მოხდა იმიტომ, რომ აღნიშნული ტერიტორია უკვე შესწავლილი იყო გეოლოგთა ჯგუფის მიერ, სწორედ ეს გახდა მიზეზი განმეორებით შესწავლაზე უარის თქმისა.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95240611-95, 01.03.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს, კერძოდ: რომელი პროექტის შესრულება ვერ მოხერხდა 2023 წლის ბიუჯეტში და ასევე მიმართა კოლეგებს, კარგი იქნებოდა გასული წლის ბიუჯეტიდან დარჩენილი 2 მილიონი ლარი ეკონომიით განხორციელებულიყო სოციალური სახლის მშენებლობა, რაზედაც მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტიდან ერთადერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება ხანდაზმულთა ცენტრის მშენებლობა არ იქნა სისრულეში მოყვანილი, სწორედ ამიტომ პროექტის შემსრულებელთან ქედის მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულება, რაც შეეხება ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის მშენებლობის საკითხს, ტენდერი გამოცხადებული იყო რამოდენიმეჯერ თუმცა ჩავარდა, შემდეგ მოხდა კომლთა რაოდენობის ზრდა (სამოცდაათი ერთეულით), 2024 წელს მოხდება პროექტის შესყიდვა, რაც შესაძლობლობას მისცემს ქედის მუნიციპალიტეტს აღნიშნული საკითხის სისრულეში მოყვანას.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: დამტკიცდეს 2023 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95.95240894, 29.03.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში;

მომხსენებელმა მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენად ანანიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95240672-95, 07.03.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ არ არის სანიაღვრე არხები დახურული ცხაურით და როდის უნდა მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი, რაზედაც მომხსენებელმა გენად ანანიძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ გზის გადასაკვეთ ადგილებზე მოხდება სანიაღვრე არხებით ცხაურით დახურვა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს:

1. რა ეტაპების გავლა უწევს მოქალაქის მიერ შემოტანილ განცხადებას ფერდსამაგრი კედლის ჩამოსხმასთან დაკავშირებით;
2. როდის იქნებოდა შესაძლებელი ცხემნა-ზენდიდის სასმელი წყლის ავზის მშენებლობის დასრულება.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ განცხადების მიღების შემდეგ ხდება მისი ადგილზე შესწავლა მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ, ამის შემდეგ კომისიაზე ხდება აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება საპროექტო ორგანიზაციის გამოძახება პროექტის შესასრულებლად, რაც შეეხება ზენდიდისა და ცხემნის ავზის საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება, რადგან თავისდროზე მეწყრულმა პროცესმა დააზიანა წყალსადენის სათავე-ნაგებობო და წყლის დებეტი დაიკარგა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყლის დამატებითი დებეტის მოძიება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ზაფხულში, გვალვის პერიოდში წყლის სათანადო რაოდენობას, ამიტომ აღნიშნული საკითხის მოგვარება ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში.
(განკარგულება N: გ-95.95240893, 29.03.2024 წელი).

3. მოისმინეს:„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების

დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240866-95, 26.03.2024 წელი) სადაც განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 23 აპრილი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2024 წლის 26 აპრილი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240892; 29.03.2024 წელი).

4. მოისმინეს: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240865-95, 26.03.2024 წელი.) სადაც განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 23 აპრილი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2024 წლის 26 აპრილი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რას ნიშნავდა პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალური ქონებით მოსარგებლე პირი, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას (დადგენილების სახით) პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240891, 29.03.2024 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240862-95, 26.03.2024 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი, თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ქედის მუნიციპალიტეტი
2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	საერთო სარგებლობის წისქვილის რეაბილიტაცია	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
6		ხარაულა	639	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
		ჯამი		**80000**		**80000**	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	სანიაღვრე არხის მოწყობა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
		ჯამი		**86000**		**86000**	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
		ჯამი		**78000**		**78000**	

21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
22		ვაიო	409	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
		ჯამი		**64000**		**64000**	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
29		ზენდიდი	297	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
30		კორომხეთი	160	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
33		შევაბური	89	10000	2 სანიაღვრე არხის მოწყობა	3000	
					გარე განათების მოწყობა	7000	
34		ცხემნა	156	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	სასაფლაოს შემოღობვა	10000	
		ჯამი		**118000**		**118000**	
37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
40		ქვედა აგარა	109	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
		ჯამი		**52000**		**52000**	
41	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	12300	
					გარე განათების მოწყობა	3700	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
43		ზ/მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	7000	
					მზა ბეტონის შეძენა	5000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
47		მილისი	123	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
		ჯამი		**106000**		**106000**	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
		ჯამი		**38000**		**38000**	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
54		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	3000	
					გარე განათების მოწყობა	9000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	

ჯამი				**54000**		**54000**	
58	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
59		გარეტყე	89	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
60		გუნდაური	218	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		სილიბაური	117	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
64		სიხალიძეები	148	10000	საერთო სარგებლობის წისქვილის მშენებლობა	10000	
ჯამი				**74000**		**74000**	
სულ ჯამი				**750000**		**750000**	

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იგეგმება თუ არა დაფინანსების მოცულობის ზრდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე და რატომ არ არის ინფორმირებული შეხვედრების დროს სოფლის თითოეული მაცხოვრებელი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე დაფინასების ზრდა აჭარის მთავრობის ფუნქციაა და ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა, რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებულ შეხვედრებს განრიგი და საათობა ქედის ოფიციალურ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე იყო მითითებული და მსურველებს შეეძლოთ შეხვედრებს დასწრებოდნენ სურვილისამებრ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ გამოხატა უკმაყოფილება, რომ მსგავს შეხვერდრებზე მხოლოდ იმ მოქალაქეების ინფორმირება ხდება ვინც კეთილგანწყობილია მმართველი ხელისუფლების მიმართ, სამწუხაროდ მსგავს კრებებზე არ ხდება ოპოზიურად განწყობილ მოსახლეობასთან შეხვედრა, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა, რომ მსგავს შეხვედრებზე გაფრთხილებულ უნდა იქნას მერის წარმომადგენლის მიერ ყველა მოქალაქე განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა მიმართა ფრაქცია ,, ქართული ოცნებას" თავმჯდომარე ლევან ვერძაძეს, 2024 წლისათვის სოფელ ბზუბზუში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში რისი გაკეთება იგეგმებოდა, რადგანაც გასულ წელს მთლიანი თანხა სასტუმრო ,,შატო მილისი"-ს მისასვლელი გზის საფარის დაგებას მოხმარდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. რაზედაც ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილება იყო და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდა, რადგანაც დასახელებული სასტუმროსთან მისასვლელ გზაზე საკმაოდ ბევრი მოსახლე ცხოვრობს და სწორეთ მათი გადაწყვეტილებით განხორციელდა გზის საფარის მოწყობა. აქვე შეახსენა რომ გასული წლის პროექტებიდან ერთერთი დაფინანსებული პროექტი მისი ინიციატივა იყო.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240811 , 29.03.2024 წელი).

6. მოისმინეს: მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მდგრადი განვითარების მიზნების ,,ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240863-95, 26.03.2024 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცებას, რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ასევე განმარტა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია ,,ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". 2016 წელს საქართველომ გაეროს პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა მდგრადი განვითარების პირველი ეროვნული მიმოხილვის ამსახველი ანგარიში და გამოთქვა სურვილი განეხორციელებინა 2030 წლისათვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის N14 ბრძანებით შეიქმნა მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი საბჭო, რომელმაც დაამტკიცა მდგრადი განვითარების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა. გეგმის მიხედვით განისაზღვრა მდგრადი განვითარების 17 მიზანი, რომლებიც მოიცავს 169 ამოცანის შესრულებას. ქედის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული გეგმიდან გამომდინარე შერჩეული იქნა 14 მიზანი და 28 ამოცანა. მერიაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდა, კოორდინაციას ახორციელებდა მთავრობის მიერ დანიშნული ეკონომიკური ექსპერტი ნიკოლოზ ჩანადირი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის დასრულდებოდა სოფელ ვაიოში წყლის ავზის მშენებლობა და წყლით მომარაგების საკითხი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ჯერჯერობით უცნობი იყო როდის იქნებოდა დასრულებული წარმოდგენილი პროექტი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 1 (ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.952408910 , 29.03.2024 წელი).

7. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240731-95, 13.03.2024 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს

წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტბელ აბუსერიძის ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის კერძოდ, მეორე სართულზე არსებული 129.10 კვ. მეტრი ფართის (ს/კ 21.03.33.016.01.521; გადასაცემი ფართის შიდა ნახაზი განკარგულებას თან ერთვის, ხოლო გადასაცემი ფართის საბალანსო ღირებულება შეადგენს 45000 (ოთხი ათას ხუთასი) ლარს) შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს თანხმობის შემდგომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240899 , 29.03.2024 წელი).

8. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში;

მომხსენებელმა მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსმა გივი დევაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95240653-95, 05.03.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რისი შეძენა ხდებოდა გამარტივებული ტენდერის საშუალებით, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ გამარტივებული ტენდერის საშუალებით ხდება მცირე სამშენებლო მასალებისა და საჭირო ინვენტარის შეძენა, ძირითადად ისეთი მასალებისა, რომელიც 10 000 ლარამდე არის შესაძლებელი. ასევე შეძენილი იქნა მობილური ჯგუფებისათვის სამედიცინო დახმარების მცირე ინვენტარი და მედიკამენტები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, კერძოდ შავ სიაში მყოფი კომპანია რა უფლებით ღებულობდა მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ასევე იკითხა რამდენიმე რჩეულ ოცნების მხარდამჭერ კომპანიებზე, რომელიც 2 მილიონ სამასიათას ლარამდე ტენდერები მოიგეს, რაზედაც მომხსენებელმა გივი დევაძემ განმარტა, რომ ესკლუზიური უფლებამოსილებები ტენდერების დროს არ არსებობდა და რომელი კომპანიაც შესთავაზებდა მუნიციპალიტეტს ხელსაყრელ და მისაღებ პირობებს ის იღებდა შესაბამისად ვალდებულებებსაც, რაც შეეხება შავ სიაში მყოფ კომპანიებს განმარტა, რომ მათი ხანდაზმულობის ვადა ერთი წელი იყო და ერთი წლის შემდეგ მათ ჰქონდათ უფლება ტენდერებში მონაწილეობის.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი ტენდერი ქონდა მოგებული ,,ესია" ჯგუფს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ,,ესია" ჯგუფის მიერ 2023 წლისათვის ქედის მუნიციპალიტეტში შესრულებულ იქნა 4 ტენდერი, ხოლო 2024 წლისათვის ერთი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240895 , 29.03.2024 წელი).

9. მოისმინეს: 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელმა ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯამბულ სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაცია (წერილის ნომერი: №06/95240513-95, 20.02.2024 წელი; დამატებული დანართის სარეგისტრაციო ნომერი: №95240784-95, 18.03.2024 წელი.) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მომხსენებელს მადლობა გადაუხადა ანგარიშის წარდგენისათვის და კითხვით მიმართა, კერძოდ: რა გამოწვევების წინაშე დადგა ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი, რამაც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2023 წლისათვის 57-ით გაზარდა, ასევე იკითხა რა საჭირო იყო ერთ დაწესებულებაში სამი საშტატო ერთეული, ერთიდაგივე პოზიციაზე (სტრუქტურული ერთეულის დარგში), რაზედაც მომხსენებელმა ჯამბულ სურმანიძემ განმარტა, რომ საშტატო რაოდენობის ზრდა გამოიწვია ანსამბლების ზრდამ, რაც შეეხება სტრუქტურული ერთეულის დარგში არსებულ სამ საშტატო ერთეულს, ისინი ძირითადად ქედის მუნიციპალიტეტში არსებული კლუბების საქმიანობას კურირებდნენ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 3 (ჯემალ დავითაძე, ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაცია.
(განკარგულება N: გ-95.95240898 , 29.03.2024 წელი).

10. მოისმინეს: 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელმა ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორმა ირინე დევაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაცია (წერილის ნომერი: №06/95240741-95, 14.03.2024 წელი.) მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ მადლობა გადაუხადა ირინა დევაძეს გაწეული საქმიანობისათვის და საკრებულოს წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ კარგი იქნებოდა ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლისათვის სამომავლოდ ქედის მუნიციპალიტეტმა შეიძინოს ავტომობილი ბავშვების ტრასპორტირებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ციწცაძემ ავტომობილის შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული საკითხის

განხილვა, თუმცა სახელოვნებო სკოლას საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ემსახურებოდა მუნიციპალური ავტომანქანები.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაცია.
(განკარგულება N: გ-95.95240897 , 29.03.2024 წელი).

11. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №ო95.9524087001, 27.03.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
(განკარგულება N: გ-95.95240931 , 29.03.2024 წელი).

12. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს კომისიების გეგმების საფუძველზე საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირ საკითხის მომზადებაზე
1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულა დ	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის შიდა აუდიტი სამსახურის უფროსი

3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
4	2023 წლის მდგომრეობით შპს „ქედის წყალკანალი"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის წყალკანალი"-ს დირეტორი
5	2023 წლის მდგომარეობით ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ს დირექტორი
6	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	აპრილი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი
7	2023 წლის განამავლობაში შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს დირექტორი
8	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მაისი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
9	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მაისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი
10	2023 წლის მდგომარეობით ააიპ ,,ქედის ისტორიული მუზეუმი"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ ,,ქედის ისტორიული მუზეუმი"-ს დირექტორი
11	სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	ივნისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
12	2023 წლის მდგომარეობით შპს რაგბის კლუბი "ფირალები"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს რაგბის კლუბი "ფირალები"-ს დირექტორი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240896 , 29.03.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14: 20 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**